საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1251

19/08/2021

ქ. თბილისი

შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ ასფალტ-ბეტონის ქარხანაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „ერ ტე დე“-ზე გადაცემის შესახებ

2021 წლის 9 ივლისს სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართეს შპს „კომპანია ბლექ სი გრუპისა“ და შპს „ერ ტე დე“-ს დირექტორებმა. შპს „კომპანია ბლექ სი გრუპმა“ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „ერ ტე დე“-ზე და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

2005 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ ასფალტ-ბეტონის ქარხნის ფუნქციონირებაზე (კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. აღაიანი) გაიცა №175 (08.12.2005) სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2019 წლის 19 ივლისს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-687 ბრძანება „შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ ასფალტ-ბეტონის ქარხანაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“. არსებული დანადგარის სხვა დანადგარით ჩანაცვლების მიზნით, 2019 წლის 4 სექტემბერს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-848 ბრძანება „კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. აღაიანის მიმდებარე ტერიტორიაზე, შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ ასფალტ-ბეტონის ქარხანაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 19 ივლისის №2-687 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „ერ ტე დე“-ს;
2. შპს „ერ ტე დე“-მ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 19 ივლისის №2-687 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებითა და „კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. აღაიანის მიმდებარე ტერიტორიაზე, შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 4 სექტემბრის №2-848 ბრძანებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ერ ტე დე“-ს და შპს „კომპანია ბლექ სი გრუპს“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ერ ტე დე“-სა და შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი